## საერთაშორისო ურთიერთობები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან. მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON, MEVLANA და სხვა).

## ERASMUS+ ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW) (ავსტრია)
- ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია)
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი (გერმანია)
- მიდლსექსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კარდიფის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- ტალინის ჯანდაცვის კოლეჯი (ესტონეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- დიჯლეს უნივერსიტეტი (თურქეთი)
- პიზის უნივერსიტეტი (იტალია)
- სასარის უნივერსიტეტი (იტალია)
- პავიის უნივერსიტეტი (იტალია)
- პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია)
- ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია)
- ლიეტუვას ჯანდაცვის მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პოვისლანსკის კოლეჯი კვიძინში (პოლონეთი)
- შჩეცინის დასავლეთ პომერანიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- კოიმბრის უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- კრაიოვას მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- იულიუ ჰაციეგანუს მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- ტულუზის პოლ საბატიეს სახელობის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- პარიზის ვალ–დე–მარნის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტის ნიტრაში (სლოვაკეთი)
- დებრეცენის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- ზაგრების უნივერსიტეტი (ხორვატია)
- ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)



## საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი,
პირველი სართული,
ოთახი №119

(+995 32) 254 24 13
(+995 32) 254 24 19

# საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი

tsmu.edu

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოქმედი ორი საბაკალავრო პროგრამა - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ - უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის მომზადებას. ფაკულტეტის პროგრამებზე ამჟამად სწავლობს 600-ზე მეტი სტუდენტი.

საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. საბაკალავრო პროგრამების მიზანია კურსდამთავრებულების მომზადება საზოგადოებრივი ჯანდაცვის და პრევენციული მედიცინის სფეროში საქმიანობისათვის, კომპეტენციის ფარგლებში, ასევე, სწავლის გაგრძელებისათვის მაგისტრატურაში, შემდგომ კი – დოქტორანტურაში. ფაკულტეტზე სტუდენტების სწავლება და კვლევა მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტებსა და პროფილურ პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრს აქვს შესაძლებლობა, კომპეტენციის ფარგლებში, დასაქმდეს მოსახლეობის და გარემოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საჯარო და კერძო სტრუქტურებში, ან სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში, შემდგომ კი – დოქტორანტურაში.

# საბაკალავრო პროგრამები

საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სწავლის წლიური ღირებულება – 2250 ლარი

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და UniMan-ის (საფრანგეთი)
სწავლის წლიური ღირებულება – 4000 ლარი
(პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ორი დიპლომი - აღიარებული როგორც საქართველოს, ასევე, საფრანგეთის მიერ)

# სამაგისტრო პროგრამები

საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 3500 ლარი,
ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება - 3000 ლარი,
ეპიდემიოლოგია - 3000 ლარი,
გარემოს მედიცინა - 3000 ლარი.

# სადოქტორო პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სწავლის ხანგრძლივობა - 3 წელი

# კარიერული სქემა

